



კმაყოფილების კვლევის შეფასება გამოყენების სფერო

არსებული პროცედურა ხელს უწყობს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების სრული მომსახურების ხარისხის კმაყოფილების ერთიანი სისტემის დანერგვას.

კმაყოფილების კვლევის მომხმარებლები არიან:

- **სტუდენტები**, როგორც სასწავლო პროცესის უშუალო ობიექტები,
- **დამსაქმებლები**, როგორც უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მომსახურების საბოლოო მომხმარებლები;
- **უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი**, როგორც სასწავლო პროცესის უშუალო სუბიექტები;
- **კურსდამთავრებული**;
- **ორგანიზაცია**, რომლის თანამშრომლები სარგებლობენ უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებით;

მოცემული მომსახურება ვრცელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურზე, რეგიონალური დასაქმების ცენტრზე, კურსდამთავრებულებზე, დეკანატებზე, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე.

1. მიზნები და ამოცანები

1.1 კმაყოფილების კვლევის შეფასების მიზნებია - მოწოდებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომელიც მიმართულია მომხმარებელთა (პერსონალი, სტუდენტი, დამსაქმებელი) მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

1.2 კმაყოფილების კვლევის შეფასების ამოცანებია:

- მიღებული ინფორმაციის წყაროს გამოვლენა;
- ინფორმაციის მიღების მეთოდების განსაზღვრა;
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- მონაცემთა შეკრება;
- მიღებული ინფორმაციის დამუშავების მეთოდების შერჩევა და გამოყენება;
- შედეგების ანალიზი;
- შედეგების დოკუმენტირება და წარდგენა აკადემიურ საბჭოზე.

2. კმაყოფილების კვლევის შეფასება

2.1 ზოგადი დებულებანი

მომხმარებლის კმაყოფილების კითხვარის შეფასება არის ექვსი ძირითადი ეტაპის კომპლექსი, ეს ეტაპებია:

- დასახული მიზნების შესრულების საშუალებების შემუშავება;
- კვლევის გეგმის შემუშავება;
- კვლევის ჩატარება;
- კვლევის მომზადება;
- მიღებული შედეგების ანალიზი;
- მიღებული შედეგების ანალიზის შედეგების მომზადება და წარდგენა.

3. სტანდარტის მართვა (თუ მიზანი მიღწეულია ვაწარმოებთ მართვას, თუ არა ვგეგმავთ თავიდან)

